მართლმსაჯულების რეფორმების 10 წელი: გამოწვევები და პერსპექტივები

ბოლო ათწლეულში გატარებული არაერთი რეფორმის მიუხედავად, ქართული სასამართლო კვლავ ფუნდამენტური გამოწვევების წინაშეა და ლეგიტიმაციისა და ნდობის მნიშვნელოვან კრიზისს განიცდის.

2012 წელს ხელისუფლების შეცვლა კარგი შესაძლებლობა იყო ძირეული ცვლილებებისთვის. რეფორმის საწყისი ეტაპები, ადგილობრივ თუ საერთაშორისო

დონეზე, დადებითად ხასიათდებოდა. თუმცა, 10 წლის თავზე, განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები, მთლიანობაში, შესაძლოა, შეფასდეს სასამართლოს ინსტიტუციური მოდერნიზაციის ფასადურ მცდელობად, რომელმაც ვერ შეძლო ქართული კონტექსტისთვის მთავარ გამოწვევასთან - სასამართლო სისტემაში ძალაუფლების კონცენტრაციასა და არაფორმალურ გავლენებთან - გამკლავება. მეტიც, რეფორმების განხორციელების პროცესში, პოლიტიკურმა სისტემამ ვერ უერთგულა სასამართლოს დემოკრატიულად გარდაქმნის პრინციპულ მიზნებს და ფუნდამენტურ საკითხებთან დაკავშირებით, დროთა განმავლობაში დათმობაზე წავიდა მოსამართლეთა კორპუსში არსებულ გავლენიან ჯგუფებთან. ამ პროცესმა, სასამართლო სისტემაში თანდათანობით ხელი შეუწყო განსხვავებული აზრის ჩახშობას და კორპორატივიზმის გაძლიერებას, და როგორც მთლიანად სასამართლო, ისე ინდივიდუალური მოსამართლეები, შიდა დამოუკიდებლობის კუთხით, მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა.

სასამართლო სისტემაში არსებული პრობლემების ერთ-ერთ ყველაზე მძიმე გამოვლინებად იქცა 2018-2021 წლებში საქართველოს უზენაესი სასამართლოს დაკომპლექტების პროცესი, რომელიც მწვავე საზოგადოებრივი პროტესტისა და კრიტიკული საერთაშორისო შეფასებების ფონზე წარიმართა. ამ პროცესმა მნიშვნელოვნად დააზიანა სასამართლო ხელისუფლების მიმართ ნდობა როგორც საზოგადოებაში, ისე ადგილობრივ სამოქალაქო და საერთაშორისო ორგანიზაციებსა და საერთაშორისო პარტნიორებში. ობიექტური კრიტიკის მიღების და კონკრეტული ზომების გატარების ნაცვლად, 2021 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა კიდევ ერთი მძიმე ნაბიჯი გადადგა და დაჩქარებული წესით, საზოგადოების ჩართულობის და მოსამართლეებთან კონსულტაციების გარეშე მიიღო საკანონმდებლო ცვლილებები, რომლითაც, ინდივიდუალურ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გარანტიების შემცირების პარალელურად, კიდევ უფრო გაიზარდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ძალაუფლება. შესაბამისად, გაძლიერდა სისტემაში არსებული შიდა კორპორატივიზმი და არაფორმალური გავლენებიც. ამ ცვლილებებმა განსაკუთრებით მწვავე კრიტიკა დაიმსახურა ვენეციის კომისიის მხრიდან. მოსამართლეთა ნაწილმა კი, ცვლილებების არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს სარჩელით მიმართა.

სიტუაციის გაუარესების პარალელურად, სასამართლო ხელისუფლების მიმართ კრიტიკა გაიზარდა საერთაშორისო დონეზეც. კერძოდ, გაეროს უნივერსალური პერიოდული მიმოხილვის (UPR) ფარგლებში, საქართველომ მართლმსაჯულების სისტემაში არსებული არაფორმალური გავლენების აღმოფხვრის შესახებ რეკომენდაციები მიიღო ამერიკის შეერთებული შტატებისგან (რომლის რეკომენდაციებშიც პირდაპირ არის ნახსენები

მოსამართლეთა გავლენიანი ჯგუფი) და სხვა სახელმწიფოებისგან.[1] ვენეციის კომისიამ, 2020 წლის დასკვნაში საგანგებოდ მიუთითა, რომ ქართული მართლმსაჯულების გამოწვევები არაორდინალურია და მოითხოვს ძალიან მაღალი ხარისხის გამჭვირვალობას (ისეთს, რომელიც, შესაძლოა, სხვა ქვეყნების სასამართლოებისგან არც იყოს მოსალოდნელი).[2] 2021 წლის დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებების შეფასებისას კი, კომისიამ ასევე აღნიშნა, რომ განგრძობადი და ფართოდ გავრცელებული ბრალდებები იუსტიციის უმაღლეს საბჭოში კორპორატივიზმის და პირადი ინტერესების დომინირების თაობაზე, შესაძლოა, აზიანებდეს საზოგადოებრივ ნდობას მართლმსაჯულების მიმართ. შესაბამისად, ეს პრობლემა სერიოზულად უნდა აღიქმებოდეს.[3] სასამართლოში არაფორმალური გავლენების პრობლემაზე აღნიშნულია ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2021 წლის ანგარიშსა[4] და ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების აღსრულების მონიტორინგის ანგარიშშიც.[5]

შედეგად, ხანგრძლივი და ტალღებად გაწერილი რეფორმების დაწყებიდან 10 წლის მიუხედავად, სასამართლო იქცა ჩაკეტილ, მონოლითურ ინსტიტუციად, სადაც სულ უფრო ნაკლებად ისმის განსხვავებული აზრი და რეალური, საგნობრივი დისკუსია. სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლები ერიდებიან აქ არსებულ პრობლემებზე ღიად საუბარს.იუსტიციის უმაღლესი საბჭო კი, მის ხელთ თავმოყრილი გადაჭარბებული ძალაუფლების პირობებში, თავად იქცა სასამართლოს დამოუკიდებლობისათვის საფრთხის შემცველ უმთავრეს ინსტიტუტად, რომელიც გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სერიოზულ კრიზისს განიცდის. შესაბამისად, მართლმსაჯულების სისტემაში არსებული პრობლემების სისტემური შეფასება და შესაძლო გამოსავლების ძიების საკითხი, კვლავაც აქტუალურია.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია, სასამართლო სისტემის მომწესრიგებელ კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული იმ ძირითადი პრობლემების გამოვლენა და გაანალიზება, რომლებიც მართლმსაჯულების საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების შეფასებებში, წლებია, იკვეთება. შეფასება არ მოიცავს მართლმსაჯულების მიმართულებით არსებულ ყველა პრობლემას, რომელთა ჩამონათვალიც საკმაოდ ვრცელია. ის ყურადღებას ამახვილებს საკვანძო საკითხებზე სასამართლო სისტემის ადმინისტრირების, ინდივიდუალურ მოსამართლეთა კარიერისა და დამოუკიდებლობის გარანტიების, სისტემის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მიმართულებით. სწორედ ეს პრობლემები უწყობს ხელს მართლმსაჯულების სისტემაში ძალაუფლების თავმოყრასა და არაფორმალური გავლენების გაძლიერებას.

ძირითადი გამოწვევები:

კორპორატივიზმი და არაფორმალური გავლენები - სასამართლო სისტემაში, თვითმმართველობისა და ადმინისტრირების ორგანოების საქმიანობას პოლიტიკური დატვირთვა უფრო აქვს და სასამართლოს შიდა ერთიანობის დემონსტრირებისთვის გამოიყენება. არსებული ინსტიტუციური მოწყობა ნაკლებად ახალისებს სასამართლოს შიგნით აზრთა სხვადასხვაობასა და საგნობრივ დისკუსიებს. მნიშვნელოვან ადმინისტრაციულ თანამდებობებზე, ძირითადად, ერთი და იგივე - გავლენიანი ჯგუფის წარმომადგენლები აირჩევიან/ინიშნებიან და სისტემაში მყოფ სხვა მოსამართლეებს სასამართლოს მენეჯმენტში ჩართვის შესაძლებლობა არ აქვთ.

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ჭარბი ძალაუფლება - საბჭო სასამართლოსთვის მნიშვნელოვან ყველა საკვანძო საკითხზე იღებს გადაწყვეტილებას და თანაც იმგვარი წესით, რომელიც ამ პროცესში არამოსამართლე წევრების ქმედით ჩართულობას და, შესაბამისად, ეფექტიან საზოგადოებრივ ანგარიშვალდებულებას, ფაქტობრივად, გამორიცხავს. მაგალითისთვის, სწორედ საბჭოა დიდწილად პასუხისმგებელი სასამართლო სისტემის დაკომპლექტებაზე. თუმცა მისი გადაჭარბებული გავლენა იუსტიციის უმაღლეს სკოლასა და მოსამართლეთა კარიერის განმსაზღვრელ საკითხებზე, აბრკოლებს სისტემაში ახალი კადრების შედინებას. საბჭოს დაუბალანსებელი ძალაუფლება აგრეთვე ხელს უშლის სასამართლოში ადმინისტრაციული ძალაუფლების დეცენტრალიზაციას და მოსამართლეთა რეალურ თვითმმართველობას.

ინდივიდუალურ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის არასაკმარისი გარანტიები - სერიოზული გამოწვევაა ინდივიდუალური მოსამართლეების დამოუკიდებლობის არასაკმარისი გარანტიები და მათი გამოყენების პრაქტიკა, რომელიც ბოლო წლებში სულ უფრო გაუარესდა. 2021 წლის დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებებით განსაზღვრული მოსამართლეთა მივლინების ახალი წესი, დისციპლინური დევნის დაწყების შემთხვევაში მოსამართლის საქმეთა განხილვიდან ჩამოცილების შესაძლებლობა და დისციპლინური გადაცდომის ახალი, ბუნდოვანი მოწესრიგება - კიდევ უფრო ზრდის ინდივიდუალურ მოსამართლეთა დამოუკიდებლობის ხელყოფის რისკებს და საფრთხეს უქმნის მათ გამოხატვის თავისუფლებას. დამატებით, საქმეთა განაწილების ელექტრონული სისტემის არასრულფასოვნად ამოქმედება და მოსამართლეთა არათანაბარი დატვირთულობა სისტემის არასათანადოდ გამოყენების და ინდივიდუალურ მოსამართლეზე ზეწოლის დამატებით ბერკეტებს ქმნის. პრაქტიკაში კი, მოსამართლეები ეფექტიანად არ ერთვებიან სასამართლოს თვითმმართველობაში, რისი მკაფიო მაგალითიც მოსამართლეთა კონფერენციებია. ბოლო წლებში ჩატარებულ კონფერენციებზე, რომლებზეც სასამართლო

სისტემისთვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები მიიღებოდა, არათუ განსხვავებული აზრი არ გამოითქმებოდა მოსამართლეების მხრიდან, არამედ შეკითხვებიც კი არ ისმებოდა წარმოდგენილი კანდიდატებისა თუ მათი ხედვების თაობაზე.

სისტემის გაუმჭვირვალობა და დაბალი ანგარიშვალდებულება - დღევანდელი სასამართლო სისტემის ჩაკეტილობისა და გაუმჭვირვალობის ნათელი გამოვლინებაა სასამართლო აქტებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 7 ივნისის გადაწყვეტილება, რომლითაც სასამართლომ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტების გათვალისწინებით, სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობის სტანდარტი დაადგინა, დღემდე აღუსრულებელია. ამგვარი პრაქტიკა მნიშვნელოვნად არღვევს სასამართლო ხელისუფლების გამჭვირვალობისა და საზოგადოებრივი ანგარიშვალდებულების პრინციპებს, აბრკოლებს საზოგადოების თუ დაინტერესებული პირების მხრიდან სასამართლოს პრაქტიკის კვლევას, ართულებს მტკიცებულებებზე დაფუძნებულ შინაარსობრივ კრიტიკას და, საბოლოოდ, ამცირებს სასამართლო სისტემის მიმართ ნდობას.

იხილეთ **კვლევა**